ქალაქ მარნეულში ქუჩების მორთვის / საახალწლო მორთულობების-ილუმინაციების შეძენა - მოწყობის / არსებულის განახლება-აღდგენის სამუშაოები (მონტაჟი-დემონტაჟი) თანმდევი დიზაინერის მომსახურებით სახელმწიფო შესყიდვა ელექტრონული ტენდერის საშუალებით (NAT230021138)

სატენდერო კომისიის სხდომის **ოქმი N2**

ქ. მარნეული **23.10.2023 წელი**

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

კენან ომაროვი	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი;

კომისიის წევრები:

როინი დეკანოიძე	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
თემური შუბითიძე	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
ზურაბ ფანგანი	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
კობა ჩხიტუნიძე	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
ილია ყალაბეგაშვილი	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
ბექა აბდელანი	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
ბექა გავაშელი	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მ/შ;
ინგა აბრამიშვილი	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მ/შ;
აგილ ამირჯანოვი	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
მალხაზი სამაშვილი	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

დღის წესრიგი:

ქალაქ მარნეულში ქუჩების მორთვის / საახალწლო მორთულობების-ილუმინაციების შეძენა - მოწყობის / არსებულის განახლება-აღდგენის სამუშაოები (მონტაჟი-დემონტაჟი) თანმდევი დიზაინერის მომსახურებით სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის პროცედურასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება...

<u>სატენდერო კომისიის სხდომის მსვლელობა - მოისმინეს / განიხილეს:</u> სატენდერო კომისიის აპარატმა / შესყიდვების განყოფილებამ სატენდერო კომისიას მიაწოდა ინფორმაცია - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის 23.10.2023 წლის N07-3223296220 მოხსენებითი ბარათით დაყენებულ საკითხთან დაკავშირებით, რითაც პირდაპირი ციტირებით აღინიშნა / ხაზგასმულ იქნა, რომ გასული წლების გამოცდილების გაზიარებით / გათვალისწინებით ქალაქ მარნეულის ურბანული ქალაქგანაშენიანების ტერიტორიის სახასიათო მასშტაბებიდან გამომდინარე საახალწლოდ საქალაქო ქუჩების სრულფასოვნად ილუმინირებული განათების უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია კიდევ უფრო დაიხვეწოს სატენდერო ტექნიკური დავალება, რაზედაც რელევანტურია სატენდერო კომისიაზე გატანილ იქნას შესაბამისი ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის საკითხი შესატყვისი ტექნიკური დავალების შემდგომი სრულყოფის მიზნით, შესაბამისად ამისა გააზრებულ იქნა რა ამ მხრივ მოქმედი შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილი შესატყვისი წესი და რეგულაციები, რასთან დაკავშირებითაც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შემთხვევაში - მისი მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ[1]" ქვეპუნქტი / მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი გვეუბნება, რომ - „შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში კი სახელმწიფო შესყიდვის პროცედურის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება და მისი საფუძველი აცნობოს სააგენტოს და ყველა პრეტენდენტს, რისთვისაც სახელმწიფო შესყიდვის პროცედურის შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის აანაზღაუროს სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები"; ხოლო „ელექტრონული

ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების შემთხვევაში კი - მისი მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტი / მე-12 მუხლის მე-2 / მე-4 პუნქტები დეტალიზირებულად გვინმარტავს საკითხებთან დაკავშირებულ სამართლებრივ პერიპეტიებს, საკუთრივ - „შეწყვეტილია – ტენდერის სტატუსი, რომელიც ელექტრონულ ტენდერს ეწიჭება შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მას შემდეგ, რაც იგი სისტემაში ატვირთავს ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის შესახებ სატენდერო კომისიის დასაბუთებულ სხდომის ოქმს, რომელშიც განმარტებული იქნება ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის მიზეზი და საფუძველი იმ კონკრეტულ გარემოებებსა და არგუმენტებზე მითითებით, რომლებმაც განაპირობა ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის აუცილებლობა, შესაბამისად ელექტრონული ტენდერისთვის ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტენდერის სტატუსის მინიჭება დასაშვებია ელექტრონული ტენდერის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ელექტრონულ ტენდერს მინიჭებული აქვს ტენდერის სტატუსი – „ხელშეკრულება დადებულია“, „არ შედგა“ ან „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“, სატენდერო კომისია უფლებამოსილია, ხელშეკრულების დადებამდე შეწყვიტოს ელექტრონული ტენდერი თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული, მათ შორის უნდა განიმარტოს ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის მიზეზი და საფუძველი იმ კონკრეტულ გარემოებებსა და არგუმენტებზე მითითებით, რომლებმაც განაპირობა ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის აუცილებლობა, ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა აიტვირთოს სისტემაში“...

ამრიგად, ოქმის მსვლელობით / განხილვით / სამოტივაციო ნაწილში ასახული გარემოებების გათვალისწინებით, სატენდერო კომისიამ ერთხმად აიღო გეზი შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის პროცედურის შეწყვეტის მიმართულებით, რათა დაცული იყოს მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის ლეგიტიმური ორგანიზაციული პრიორიტეტული ინტერესები და შესატყვისი საახალწლო / საზეიმო ღონისძიებები უზრუნველყოფილ იქნას მაქსიმალური სრულფასოვნებით...

<u>კომისიამ იხელმძღვანელა, რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონითა და „ელექტრონული ტენდერის წესის დამტკიცების შესახებ” ბრძანებით, დაადგინა:</u>

1. ქალაქ მარნეულში ქუჩების მორთვის / საახალწლო მორთულობების-ილუმინაციების შეძენა - მოწყობის / არსებულის განახლება-აღდგენის სამუშაოები (მონტაჟი-დემონტაჟი) თანმდევი დიზაინერის მომსახურებით (NAT230021138) სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერი შეწყდეს წინამდებარე ოქმის მსვლელობით / განხილვით / სამოტივაციო ნაწილში ასახული გარემოებების გათვალისწინებით / მიზეზების გამო;
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წინამდებარე ოქმის ატვირთვისთანავე აღნიშნულ ელექტრონულ ტენდერს მიენიჭოს ტენდერის სტატუსი - „შეწყვეტილია“;
3. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს / შესყიდვების განყოფილებას უზრუნველყოს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით - ამ სახელმწიფო შესყიდვის პროცედურის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების / წინამდებარე ოქმის და მისი საფუძვლის თაობაზე შესაბამისი ინფორმაციის შემცველი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსადმი წერილობითი შეტყობინების / ცნობის პროექტის შედგენა / გაფორმება / და შემდგომში ოფიციალური სახით წარდგენა;
4. წინამდებარე სატენდერო კომისიის ოქმი შეიძლება გასაჩივრდეს - სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ნაწილის საბჭოსთვის განკუთვნილი სპეციალური ელექტრონული მოდულის მეშვეობით შესატყვისი საჩივრის ელექტრონულად წარდგენის გზით სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი N154, ბიზნეს ცენტრი „მწვანე ოფისი“, მე-9 სართული) ან პირდაპირ ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბოლნისი, სულხან-საბას N113), პირველ შემთხვევაში მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან - სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვიდან „სახელმწიფო შესყიდვების

შესახებ“ საქართველოს კანონის 237 მუხლში ასახულ / დადგენილ ვადებში, მეორე შემთხვევაში კი მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში - საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

5. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს / შესყიდვების განყოფილებას წინამდებარე ოქმი ხელმოწერისთანავე ატვირთოს / განათავსოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში და აღნიშნული ოქმი ჩაითვალოს პრეტენდენტ(ებ)ისათვის ოფიციალურ შეტყობინებად / ცნობად - ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად.
6. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის 23.10.2023 წლის N07-3223296220 მოხსენებითი ბარათი ჩაითვალოს წინამდებარე ოქმის განუყოფელ ავთენტურ ნაწილად - დანართ: 1 (ერთი) ფურცლად.

კომისიის თავმჯდომარე

კენან ომაროვი

კომისიის წევრები:

როინი დეკანოიძე

თემური შუბითიძე

ინგა აბრამიშვილი

ზურაბ ფანგანი

ილია ყალაბეგაშვილი

ზეკა აბდელანი

კობა ჩხიტუნიძე

ზეკა გავაშელი

მალხაზი სამაშვილი

აგილ ამირჯანოვი

MARNEULI MUNICIPALITY

Digitally signed by MARNEULI MUNICIPALITY
Date: 2023.10.23 21:42:41 +04'00'

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია
ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური
უზრუნველყოფის სამსახური

წერილის ნომერი:**07-3223296220**
თარიღი: **23/10/2023**

ადრესატი:

კენან ომაროვი
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ კენან ომაროვს

მუნიციპალური ქონების მართვისა და მატერიალურ
ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის
უფროსის **აგილ ამირჯანოვის**

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

მოგეხსენებათ გასული წლების გამოცდილების გაზიარებით / გათვალისწინებით ქალაქ მარნეულის ურბანული ქალაქგანაშენიანების ტერიტორიის სახასიათო მასშტაბებიდან გამომდინარე საახალწლოდ საქალაქო ქუჩების სრულფასოვნად ილუმინირებული განათების უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია კიდევ უფრო დაიხვეწოს სატენდერო ტექნიკური დავალება, რაზედაც რელევანტურია სატენდერო კომისიაზე გატანილ იქნას შესაბამისი ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის საკითხი, შესატყვის ტექნიკური დავალების შემდგომი სრულყოფის მიზნით...

აგილ ამირჯანოვი

ქონების მართვისა და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი